

# ბროშურა 2

## ვიცხოვროთ C ჰეპატიტთან ერთად ყოველდღიურობა და ჰეპატიტი C



### მკითხველს:

ჩვენი მიზანია მოგაწოდოთ მეტი ინფორმაცია C ჰეპატიტზე რაც შეიძლება გასაგებ ენაზე და გაიზარდოს ცოდნის დონე ამ ინფექციის გადაცემის გზების, მიმდინარეობის, დიგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ. ასევე მოგაწოდოთ ინფორმაცია თუ რა შესაძლებლობებია საქართველოში და მივაღწიოთ ერთად მკურნალობაზე უკეთეს ხელმისაწვდომობას ვიდრე დღესდღეობით გვაქვს.



თქვენ C ჰეპატიტის ვირუსი შეგეყარათ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ დაავადდით. ყველაფრის მიუხედავად ტესტირების პასუხის გაგება ერთგვარი შოკის მომგვრელია. უამრავი კითხვა გიჩნდებათ და არ გასვენებთ.

რატომ მაინც და მაინც მე?

როგორ ავიკიდე ეს ვირუსი?

გადაედება თუ არა ეს ვირუსი ჩემს ირგვლივ მყოფთ?

შემიძლია წამლების მიღება?

საშინელება დამემართა?

იკურნება თუ არა ჰეპატიტი C?

უნდა შევცვალო თუ არა ჩემი ყოველდღიურობა?



თქვენ გჭირდებათ ინფორმაციის მიღება: ეს არის ყველაზე მთავარი! ექიმთან პირველი ვიზიტის შემდეგ, რომელიც გვამცნობს ამ არც თუ ისე სახარბიელო ახალ ამბავს, ჩვენ ძირითადად ვიბნევით, ყველაფერი გვაფიქვდება, თავი გვევსება გაუგებარი სამედიცინო დასკვნებით და ტერმინოლოგიით, რომელთაც ვერც კი ვიგებთ, კონსულტაციიდან გამოსულებმა, არც კი ვიცით ვის მივმართოთ პირველად.

## ბევრი არაფერი ვიცი ამ დაავადების შესახებ..


პირველი ემოციური დარტყმის შემდეგ, რომელსაც იღებთ როცა გაიგებთ, რომ ხართ C ჰეპატიტით ( VHC) ინფიცირებული, აუცილებელია იპოვოთ პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რაც კი გაგიჩნდებათ ამ დაავადებასთან მიმართებაში. მკურნალ ექიმთან ნდობის მოპოვება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ თქვენი მომავალი მკურნალობისთვის, რისთვისაც აუცილებელია არ დავაყენოთ ჩვენი თავი ინტანტილურ პოზიციაში (როცა პატარა ბავშვივით ვერ ვხვდებით რაზეა საუბარი). თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ახსნა განმარტება ყველა იმ საკითხზე, რაც განუხებთ და კითხვებს გიჩენთ. თუ მეტი ინფორმაციის მიღება გსურთ, თქვენმა ექიმმა უნდა გადაგამისამართოთ სხვა, უფრო კომპეტენტურ და არსებულ სტრუქტურებთან თუ თავად ვერ უმკლავდება სიტუაციას.



### რჩევები

კონსულტაციაზე მისვლამდე, აუცილებლად ჩამოწერეთ ყველა კითხვა, რაზედაც პასუხი გაინტერესებთ. რაც არ უნდა ძნელი იყოს წამოაყენეთ შიშის გარეშე ყველა ის საკითხი, რაც გაღელვებთ. შეიძლება ეს დღიდან ხვალამდე არ მოხდეს, მაგრამ ნელ-ნელა თქვენს და თქვენ მკურნალ ექიმს შორის ჩამოყალიბდება ურთიერთგაგებაზე და კითხვა-პასუხზე დამყარებული ურთიერთობა.

# ვის მოვუყვე და როგორ?



ჰეპატიტი C დღესაც კი რთულად ნამოსაჭრელი საკითხია. სწორი და ამომწურავი ინფორმაცია დაავადების შესახებ ხელს შეგვიწყობს დროულად და გასაგებად მივიტანოთ ჩვენი პრობლემა ჩვენს ახლობლებამდე. ისე, რომ მათაც არ გავუხეთქოთ გულები ჩვენს ჯანმრთელობაზე და წინ არ გავუსწროთ მოვლენებს. თუ თქვენ ამაზე საუბარი არ გსურთ, არა ხართ იძულებულნი ამაზე ვსაუბროთ თქვენს ახლობლებს, მაგრამ იმისათვის, რომ უკეთესად იგრძნოთ თავი, აუცილებელია მინიმუმ ერთ ადამიანს მაინც გაუზიაროთ თქვენი საიდუმლო. ეცადეთ იპოვოთ მხარდაჭერა თქვენს გარემოცვაში.

# არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ ჩემი ინფექცია გადავდო ჩემს ირგვლივ მყოფთ?



C ჰეპატიტის ვირუსი, სისხლით გადამდები ვირუსია. ასე რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში არანაირი საფრთხე მისი გადაცემისა არ არსებობს. შეგვიძლია ვაკოცოთ ერთმანეთს, შევვებოთ ერთმანეთს, გამოვიყენოთ საერთო სარეცხი მანქანა, ტუალეტი. არანაირი აუცილებლობა არაა იმისა, რომ სპეციალურად, განსაკუთრებით გავრეცხოთ ჭურჭელი.



C ჰეპატიტის ვირუსი არ გადადის: ნერწყვით, ხველებით ან ოფლით.



მაგრამ თავიდან უნდა ავიცილოთ სხვისი ნივთების გამოყენება, განსაკუთრებით ჰიგიენური ნივთებისა, რომლებსაც შეხება აქვთ სისხლთან: საპარსი, მაკრატელი, პინცეტი, კბილის ჭაგრისი ან პირის ღრუსთან კავშირში მყოფი რომელიმე ნივთი.



ნარკოტიკების მომხმარებლებმა არასდროს არ უნდა გაიზიარონ საინექციო თუ „შესაყნოსი“ საშუალება (შპრიცი, ბამბა, ფილტრი, კოვზი, მონვეისთვის ან შეყნოსისთვის საჭირო ნებისმიერი ინვენტარი).





ინფიცირებული სისხლი ჭრილობაზე  
= დაავადების გადაცემის დიდ რისკს!



ინფიცირებული სისხლი დაუზიანებელ კანზე  
= არანაირ რისკს დაავადების გადაცემისას!

ინფიცირებული სისხლის დაზიანებულ კანზე (ჭრილობაზე) მოხვედრის შემთხვევაში მშვიდად შეეცადეთ ჭრილობა მოიბანოთ ნელ-თბილი წყლით და საპნით. თავი აარიდეთ კანის ზედმეტ სრესვას და სისხლის გამოდენას. აუცილებლად დაიკარით ერთჯერადი მწებავი ემპლასტრო და მიაკითხეთ ექიმს კონსულტაციის მისაღებად, რათა მან შეაფასოს დაზიანებული არე და ინფიცირების რისკები და მიიღოს დროული გადაწყვეტილება სამომავლო ქმედებასთან დაკავშირებით. აუცილებლად ჩაიტარეთ ტესტირება სამი თვის შემდეგ.

ნუ დაპანიკდებით თუ ადამიანის დაუზიანებელი კანი შეეხო ინფიცირებულ სისხლს, არანაირი რისკი და საშიშროება ინფიცირებისა არ არსებობს. იმისათვის, რომ ვირუსის გადაცემა მოხდეს, საჭიროა „შესასვლელი კარი“, ანუ დაზიანებული უბანი; თუ კანის მთლიანობა არ არის დარღვეული, ის თამაშობს ბარიერის როლს. იმისათვის, რომ იყოთ ბოლომდე დარწმუნებული, ახლობელს, რომელიც პირველად დახმარებას გინევთ, სთხოვეთ გამოიყენოს ხელთათმანი. დაამუშავეთ სისხლთან შეხების ადგილი სადღეზინფექციო საშუალებებით. გირჩევთ თქვენი სტატუსის (რომ C ჰეპატიტი გაქვთ) შესახებ აცნობოთ თქვენს სტომატოლოგს, ან ნებისმიერ მკურნალ ექიმს, ვისთანაც შეხება გექნებათ. თუ ამას ვერ ახერხებთ, თავს ძალას ნუ დაატანთ და ნუ დაიდანაშაულებთ თავს, რადგან ყველა ექიმი და სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ყოველთვის ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაცია ჩაატაროს ასეპტიკა-ანტისეპტიკის წესების დაცვით, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი ინფექციით ინფიცირების რისკის მინიმიზაციას ნულამდე.

## რჩევები

ეცადეთ საკუთარი ჰიგიენური გამოყენებისთვის საჭირო ნივთები სხვებისათვის მიუწვდომელ ადგილას შეინახოთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში გყავთ ბავშვები.



## მივიღო თუ არა გამაფრთხილებელი ზომები სქესობრივი კავშირების დროს?

სქესობრივი კავშირით C ჰეპატიტის გადაცემის რისკი ძალიან დაბალია. უბრალოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ და თავი დავიცვათ. ისეთი კავშირების დროს, როცა შეიძლება შეხება გვექონდეს სისხლთან (მენსტრუალური ციკლის, გენიტალური ინფექციების (მაგ. პერპესი), სასქესო ორგანოების დაზიანების შემთხვევაში) გამოვიყენოთ პრეზერვატივი. თუ გვყავს ერთი სტაბილური სქესობრივი პარტნიორი, მაშინ შესაძლოა გვექონდეს ჩვეულებრივი სქესობრივი ცხოვრება პრეზერვატივის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ აღინიშნება ვაგინალური სიმშრალე, ასევე ანალური სქესობრივი კავშირის დროს, უმჯობესია ლუბრიკანტის (პრეზერვატივის საცხის) გამოყენება, რაც პრეზერვატივის ან თუნდაც მის გარეშე კავშირის დამყარებისას, თავიდან აგვაცილებს ტრავმულ მოვლენებს (სისხლთან კავშირს).

იმ შემთხვევაში თუ არა გვყავს მუდმივი სქესობრივი პარტნიორი, პრეზერვატივის გამოყენება რეკომენდირებულია, არა მარტო C ჰეპატიტის, არამედ სხვა ინფექციებისგან (ჰეპატიტი B, აივ-ინფექცია და თუნდაც სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების) თავიდან ასაცილებლად.



## შეიძლება თუ არა ფეხმძიმობა?

ფეხმძიმობა არ არის აკრძალული იმ ქალებისთვის, რომლებიც C ჰეპატიტით არიან დაავადებულნი, მკურნალობის პერიოდის გარდა. უკეთესია დაგეგმოთ მკურნალობა ორსულობამდე, რათა მოხდეს ვირუსის გაქრობა ან მისი გადადების რისკის შემცირება. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მაინც დაინფიცირდა, უნდა ვიცოდეთ, რომ C ჰეპატიტის განვითარება ახლად დაბადებულებში ძალიან საყურადღებოა. ახალშობილი, რომელიც შობა C ჰეპატიტით ინფიცირებულმა დედამ, ცხოვრების პირველ წელიწადს უნდა იყოს სპეციფიური სამედიცინო დაკვირვების ქვეშ.

### კონფიფიკაცია ჰეპატიტი C და შილსი

მომავალი დედებისათვის, რომლებსაც აქვთ ჰეპატიტი C და აივ-ინფექცია ერთდროულად, რისკი დედიდან შვილზე ჰეპატიტის გადაცემისა არის გაცილებით დიდი, დაახლოებით 20 % მდე.

## საჭიროა თუ არა ყოველდღიური ჩვევების შეცვლა?

### ● კვება


ექიმთა უმრავლესობა გვირჩევს, რომ არ შევცვალოთ ჩვენი ყოველდღიური კვება. თეორიულად არც ერთი სამედიცინო მონაცემის მიხედვით არ არის აუცილებელი სპეციალურ კვების რეჟიმზე გადასვლა, გარდა იმ შემთხვევისა თუ გვაქვს ჭარბი წონის პრობლემა. მაგრამ თუ თქვენ გაქვთ დაულაგებელი, ანარქიული კვების რეჟიმი, ეცადეთ რომ დაალაგოთ ის. რაც მთავარია ყურადღება მიაქციეთ საკვების სწორ გადანაწილებას, თავი შეიკავეთ ძალიან ცხიმოვანი და ძალიან ტკბილი საკვებისგან. უპირატესობა მიანიჭეთ - ბოსტნეულს, ხილს, თევზეულს, რძის პროდუქტებს, თეთრ ხორცს, სახამებლის შემცველ პროდუქტს. ძირითადად უსმინეთ საკუთარ სხეულს და მიჰყევით მას. თვითონ დაავადების მსვლელობის და ხარისხის მიხედვით, გვაქვს ხოლმე მომენტები, როცა ესა თუ ის საკვები არ სიამოვნებს ორგანიზმს. ჩვენი მთავარი სათქმელია: ნუ იტყვით უარს იმ საკვებზე რასაც ორგანიზმი გთხოვთ, მაგრამ ნურც ძალას დაატანთ და გადატვირთავთ მას.

## ● ალკოჰოლი

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. სპეციალისტები კატეგორიულად ითხოვენ ყველანაირი ალკოჰოლი ამოვიღოთ ჩვენი რაციონიდან. პრაქტიკულად პრობლემა ძალიან კომპლექსურია. ჩვენ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ ჩვენი ურთიერთობა ალკოჰოლის მიმართ. მნიშვნელოვანია ჩემთვის ალკოჰოლი? შემძლია თავი დავანებო მის მოხმარებას, ან შევამცირო მაინც?

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ჰეპატიტი C ვითარდება 4 ჯერ უფრო სწრაფად მსმელებში (იმ ადამიანებში, რომლებიც 20 გრამზე მეტ ალკოჰოლს იღებენ ყოველდღიურად, რაც შეესაბამება მამაკაცებისთვის ყოველდღიურად 3 ჭიქა ღვინოს, და ქალებისთვის ყოველდღიურად 2 ჭიქა ღვინოს მოხმარებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) ვიდრე არა მსმელებში. თუ ხართ ალკოჰოლზე დამოკიდებული ან თავს გრძნობთ ცუდად ალკოჰოლის მოხმარების გამო, ესაუბრეთ თქვენს ექიმს. დეტალური ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამკურნალო განყოფილებას ცხელი ხაზის ტელეფონით: 230-10-45

ტელეფონით კონსულტაცია უფასოა და ანონიმური!





## რჩევები

იმისათვის, რომ შეაფასოთ თქვენი დამოკიდებულება ალკოჰოლზე, საკუთარ თავს დაუსვით ეს ოთხი შეკითხვა:

- გქონიათ თუ არა მოთხოვნილება იმისა, რომ შეგემცირებინათ ალკოჰოლური სასმელის მოხმარება?
- გაუმახვილებია თუ არა თქვენს საახლობლოს ყურადღება თქვენს მიერ ალკოჰოლის მოხმარებაზე?
- შეგქმნიათ თუ არა შთაბეჭდილება, რომ ალკოჰოლს ჭარბად მოიხმართ?
- გქონიათ თუ არა მოთხოვნილება დილიდანვე ალკოჰოლის მიღებისა, რომ თავი უკეთესად გეგრძნოთ?

თუ ამ 4 შეკითხვიდან, ორს მაინც დადებითად უპასუხეთ, უმჯობესია გაესაუბროთ თქვენს ექიმს.

იმ შემთხვევაში თუ ალკოჰოლს იღებთ იშვიათად და ზომიერად, თქვენი ჩვევების შეცვლა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თქვენს ჯანმრთელობაზე. მძიმე ჰეპატიტის შემთხვევაში ალკოჰოლის მიღება აუცილებლად აუნდა აიკრძალოს. დანარჩენ შემთხვევაში თავი უნდა ავარიდოთ გადაჭარბებულ მოხმარებას, მაგრამ აუცილებელი სამედიცინო უკუჩვენებების გარდა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ერთი ჭიკა ღვინო დღის განმავლობაში საკვებთან ერთად. უმჯობესია უგზოზე ნებისმიერი სახის ალკოჰოლური სასმელების მიღებისგან თავშეკავება. ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე. სასმელზე უარის თქმა არ ნიშნავს ურთიერთობებზე უარის თქმას. ნუ იტყვით უარს მიპატიჟებებზე იმ მიზეზით, რომ არ სვამთ, აუცილებელია გააგრძელოთ თქვენი ყოველდღიური ცხოვრება ისე, როგორც მანამდე იყო. არ თქვათ უარი მეგობრების მიპატიჟებაზე და გართობაზე!

## რჩევები

ქეიფის დროს ჩვენმა მეგობრებმა შეიძლება დაგვაძალონ დაღევა, მით უმეტეს თუ ისინი არ არიან საქმის კურსში, რომ ჰეპატიტი გვაქვს. ხშირად არა გვაქვს სურვილი ავუხსნათ ყველას მიზეზი, თუ რატომ არ ვსვამთ. ზოგიერთმა ჩვენთაგანმა უკვე იპოვა გამოსავალი. ნუ გაავსებთ და ნუ გამოცლით ბოლომდე ჭიქას, მონრუჰეთ ნელ-ნელა. ასე, რომ ზედმეტ კითხვებს აიცილებთ თავიდან. ან სულაც მარტივად შეგიძლიათ თქვათ, რომ დღეს ალკოჰოლის დაღევის ხასიათზე არ ხართ და გირჩევნიათ მიირთვათ ხილის წვენი ან მინერალური წყალი. თქვენს არჩევანს პატივი უნდა სცენ ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე.


## ● პირის ღრუს ჰიგიენა

C ჰეპატიტმა შეიძლება შეამციროს ნერწყვის გამოყოფა, რომელიც თავისმხრივ იცავს ჩვენს კბილებს. პირის ღრუს სიმშრალე ცუდად მოქმედებს ღრძილებზე. ამას ემატება ისიც, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებს ხშირად ცუდი გვერდითი მოვლენები აქვს კბილების სიჭანსაღებზე. ასე რომ აუცილებელია მივაქციოთ ყურადღება ჩვენს პირის ღრუს და ხშირად მივმართოთ სტომატოლოგს.

# რამ შეიძლება შეცვალოს ჩემი ყოველდღიური ცხოვრება?

## ● დაღლილობა

დაღლილობა ყველაზე ხშირი და პერიოდული ფენომენია ადამიანის ყოველდღიურობაში. აუცილებელია ესაუბროთ თქვენს ექიმს და გამოიკვლიოთ დაღლილობის მიზეზი: ის შეიძლება დაკავშირებული იყოს C ჰეპატიტის ვისუსთან, ან გამონვველი იყოს სტრესით ან თუნდაც სხვა მიზეზით. ყოველდღიური, შემანუხებელი დაღლილობა დილიდანვე უკვე დეპრესიის სიმპტომია. ბევრი ჩვენთაგანი მთელი დღის განმავლობაში მუდმივად გრძნობს დაღლილობას. დაავადების მსვლელობის სხვადასხვა პერიოდში, შესაძლებელია დაღლილობამ გამოიწვიოს ჩვენი სრული უუნარობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ხანდახან ეს დაღლილობა ძალიან შემანუხებელია და უუნარობაში გადადის, რაც რა თქმა უნდა სრულიად გაუგებარია ჩვენი ოჯახის წევრებისთვის და კონფლიქტის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. უნდა შევეგუოთ ჩვენს დაღლილობას და ვცადოთ ვმართოთ ის ჩვენს ყოველდღიურობაში: აუხსნათ და გავაგებინოთ ჩვენს ახლობლებს ჩვენი სიტუაცია, ავიღოთ შვებულება სამსახურში ან ვისარგებლოთ ბიულეტენით. თუ აუცილებელია თქვენი ფორმაში ყოფნა, კარგი იქნება წინასწარ გაითვალისწინოთ ეს და დაისვენოთ დაგეგმილი შეხვედრის წინ, ან მის მერე. კარგად დაისვენეთ შაბათ-კვირას. დაიძინეთ, მაგრამ მთლიანად ნუ მოდუნდებით. დაგეგმეთ ის რისი გაკეთებაც გიყვართ.



## რჩევები

დღის განმავლობაში ცოტა ხნით დაძინება მისასალმებელია. 20 ნუთიანი სიესტა საკმარისია იმისთვის, რომ თავი უკეთესად იგრძნოთ. და კიდევ ერთი რჩევა რელაქსაციისთვის: მიიღეთ შხაპი და მსუბუქად ივარჯიშეთ.

● მოუსვენრობა, აფორიაქება..

ჰეპატიტით დაავადებული ადამიანის ცხოვრების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან. მოუსვენრობა და აფორიაქება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, რომ ადამიანებს აკლიათ გვერდში დგომა, ადამიანური კონტაქტები, მხარდაჭერა და ასევე დაავადების შესახებ აქვთ ცოტა ინფორმაცია. დაღლილობა და ძალების მოკრება დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის მორალურ და სულიერ მხარეზე. სიჩუმე - პრობლემის გადანყვეტის ყველაზე ცუდი გზაა. უნდა ისაუბროთ. ეს დაგეხმარებათ, რომ გაანალიზოთ, ისაუბროთ და გაუზიაროთ სხვას თქვენი პრობლემები და მართონი არ დარჩეთ მის წინაშე. შეგიძლიათ დახმარება მიიღოთ პროფესიონალებისგან (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი), მიმართოთ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, ან თუნდაც ადამიანთა ჯგუფს, რომლებთანაც გამოუცდიდათ და იციან ამ დაავადების მართვა. არასდროს დარჩეთ მართო საკუთარ შეკითხვებთან.



## თემატური ბროშურები :

1. რა არის ჰეპატიტი C? გავიგოთ მეტი
2. ყოველდღიურობა და ჰეპატიტი C
3. ჩემი ჰეპატიტი C, მე და ჩემი გარშემომყოფები.
4. მოვემზადოთ C ჰეპატიტის მკურნალობისთვის
5. მე ყურადღებას ვაქცევ ჩემს დაავადებას
6. ჰეპატიტი C, ღვიძლი და სხვა ორგანოები
7. C როგორც ციროზი, როგორ ვიცხოვროთ ციროზით?
8. ეს ჰეპატიტია თუ ჩემს თავში ხდება?  
- დადლილობა, ხასიათის ხშირი ცვალეზადობა
9. რა არის ჰეპატიტი B? გავიგოთ მეტი
10. ნარკოტიკი, სასმელი და ჰეპატიტი C
11. ვიცხოვროთ უკეთ C ჰეპატიტის მკურნალობის დროს
12. ჩემმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, რა გავაკეთო?
13. კოინფექცია - შიდსი და ვირუსული ჰეპატიტები

# მიიღე ინფორმაცია [www.hepatitisc.ge](http://www.hepatitisc.ge)

## რავიბარე გამოკვლევას:

### ერთვნილი სკრინინგ ცენტრი

ჰეპატიტი C სწრაფი ტესტირება. (სერვისი უფასოა)  
ამჟამად პროგრამა პილოტურია და მიმდინარეობს 2012 წლის ბოლომდე.  
მისამართი: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი 69.  
ტელ.: 2 20 35 35 [www.gnsc.ge](http://www.gnsc.ge)

### ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი

ტესტირება. დიაგნოსტიკა. კონსულტაციები. მკურნალობა. (სერვისი ფასიანია)  
მისამართი: ქ.თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზირი 16. (ინფექციური საავადმყოფო)  
ტელ.: 2 39 91 43

### სამედიცინო ლაბორატორია „ნეოლაბი“

ტესტირება. დიაგნოსტიკა. კონსულტაციები. მკურნალობა. (სერვისი ფასიანია)  
მისამართი: ქ.თბილისი, ნუგუზიძის ქუჩა 8.  
ტელ: 2 14 14 47/ 2 39 28 03/ 2 39 28 96 [www.neolab.ge](http://www.neolab.ge)  
ქ.რუსთავი, რუსთაველის ქუჩა 20  
ტელ.: 2 14 21 00

### ქართულ-ფრანგული ერთობილივი ჰეპატიოლოგიური კლინიკა „ჰეპა“

ტესტირება. დიაგნოსტიკა. კონსულტაციები. მკურნალობა. (სერვისი ფასიანია)  
მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა 18/20, აკად. ოთარ დუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მე-3 საართული.  
ტელ: 2 54 0.8 55 [www.hepclinic.com](http://www.hepclinic.com)

### ლაბორატორია „მრჩეველი“

ტესტირება. დიაგნოსტიკა. კონსულტაციები. მკურნალობა. (სერვისი ფასიანია)  
მისამართი: ქ.თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზირი 9.  
ტელ.: 2 93 10 00, 2 37 88 48, 2 37 00 71 [www.mrcheveli.com](http://www.mrcheveli.com)

### ექსპრეს დიაგნოსტიკა

ტესტირება. (სერვისი ფასიანია)  
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 16.  
ტელ.: 2 47 17 17 [www.exdi.ge](http://www.exdi.ge)

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი  
[www.ziani.ge](http://www.ziani.ge)



ბროშურა დაბეჭდილია საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით.  
ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „მსოფლიოს ექიმებს“ და ყოველთვის არ გამოხატავს სააგენტოს პოზიციას.

ბროშურა შეიმუშავა ფრანგულმა ორგანიზაციამ SOS Hepatites.  
ბროშურაში არსებული ინფორმაცია დადასტურებულია ექიმების მიერ.

ულამესი მაღლობა ქალბატონ ირმა კირთაძეს ბროშურის ქართულ ვარიანტზე განეული მუშაობისთვის.

